

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

21.09.2020


### მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები საქართველოში

2020 წლის აგვისტო

#### ძირითადი შედეგები

- მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით შემცირდა 0.1 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 8.8 პროცენტით;
- სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით შემცირდა 0.03 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით გაიზარდა 16.0 პროცენტით;
- მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0.4 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით 3.6 პროცენტით.

### მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები



## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

21.09.2020

### მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით 0.1 პროცენტით შემცირდა. საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე ფასები შემცირდა 0.6 პროცენტით. ამასთან, ფასები გაიზარდა სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე 0.03 პროცენტით, ხოლო დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 0.1 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი შემცირდა 8.8 პროცენტით. აღსანიშნავია ფასების შემცირება საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე 55.0 პროცენტით. ამასთან, სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე ფასები გაიზარდა 2.9 პროცენტით, ხოლო დასაწყობებისა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურების ფასები 2.5 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის აგვისტოში სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2019 წლის აგვისტოსთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	<b>სულ</b>	<b>91.2</b>	<b>-8.84</b>
49	სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურება და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურება	102.9	2.22
51	საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება	45.0	-11.10
52	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურება	102.5	0.03

\*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

21.09.2020

### სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** 0.03 პროცენტით შემცირდა. აღსანიშნავია ფასების შემცირება სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე (-0.5 პროცენტი).

**წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით** ინდექსი გაიზარდა 16.0 პროცენტით. ფასების ზრდა დაფიქსირდა უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე (34.7 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა სადენიან სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე (-1.4 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის აგვისტოში სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2019 წლის აგვისტოსთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	<b>სულ</b>	<b>116.0</b>	<b>16.01</b>
61.1	სადენიანი სატელეკომუნიკაციო მომსახურება	98.6	-0.64
61.2	უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	134.7	16.90

\*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

21.09.2020

### მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0.4 პროცენტით. აღსანიშნავია, ფასების ზრდა საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურებაზე 0.3 პროცენტით, ხოლო დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურებაზე 0.5 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი გაზარდილია 3.6 პროცენტით. საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურების ფასები გაიზარდა 3.2 პროცენტით, ხოლო დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურების ფასები 4.4 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის აგვისტოში დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2019 წლის აგვისტოსთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	<b>სულ</b>	<b>103.6</b>	<b>3.59</b>
55	მომსახურება დროებითი განთავსების საშუალებებით	104.4	1.31
56	მომსახურება საკვების და სასმელების მიწოდებით	103.2	2.29

\*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).

ელფოსტა: [gtetrauli@geostat.ge](mailto:gtetrauli@geostat.ge)